საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28 სექტემბერი 2018 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №04-01/15

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის მიზნით კონკურსი ჩატარდეს 2018 წლის 12 ოქტომბერს.

2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ.№37, ოთახი №41), 2018 წლის 01 ოქტომბრიდან 2018 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, 10 საათიდან _ 17 საათამდე, გარდა შაბათ–კვირისა და უქმე დღეებისა.

3. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ვ) სამოქმედო გეგმა;

ზ) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ხელოვნების უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი) თანამდებობის შესახებ.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ხელოვნების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5 . დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**